გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მომზადდა 2014 წლის ნოემბერში, იმ პერიოდისთვის არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით. აღნიშნული პარამეტრები შეთანხმებული იყო როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ასევე სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

გასული წლის ნოემბრის შემდგომ ეკონომიკური პროცესები მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორვ ჩვენს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით. ნოემბრის მდგომარეობით არსებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზები, 2015 წლის აპრილში შეიცვალა და ქვეყნების უმეტესობაში გაცილებით დაბალი ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი, ხოლო ჩვენს მეზობელ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ვარდნის პროგნოზებიც შეინიშნება.

მსოფლიო ეკონომიკაში და განსაკუთრებით რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზეც, რისი გათვალისწინებითაც, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან კონსულტაციების შემდგომ საქართველოს მთავრობის მიერ გაკეთდა განცხადება რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2015 წლისთვის მოსალოდნელია 2%-ის ოდენობით.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შეცვლის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ აქტიური მუშაობა დაიწყო ბიუჯეტის კორექტირების მიმართულებით და უკვე პირველ კვარტალში დაიწყო სამინისტროების მიმდინარე ხარჯების შემცირება და თანხების გადატანა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისთვის აუცილებელი იყო მინიმუმ პირველი კვარტლის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და მხოლოდ ამის შემდგომ შემოსავლების და ასევე ხარჯვითი ნაწილის კორექტირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დარგობრივ სამინისტროებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად 2015 წლის ივნისის დასაწყისში მომზადდა ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა რომ ალტერნატიური წყაროებით ხდებოდა საგადასახადო დანაკლისის კომპენსირება, მაინც იგეგმებოდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება.

2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში, ძლიერ წვიმით გამოწვეულმა სტიქიური მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული პროექტი და აუცილებელი გახდა მასში ცვლილებების შეტანა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო ფინანსური რესურსის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად მომზადდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექის“ გადამუშავებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ერთი მხრივ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება და

მეორეს მხრივ საბიუჯეტო დეფიციტის კონტროლი და მისი დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შენარჩუნდეს საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი და პარალერულად დაფინანსდეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები, ასევე ისეთი ინფრასტრუქუტურული პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 9 900,0 მლნ ლარით, რაც დამტკიცებულ მოცულობას აღემატება 25 მლნ ლარით, კერძოდ:

- **საგადასახადო შემოსავლების** გეგმა მცირდება 200.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 7 400.0 მლნ ლარით. აღნიშნული გამოწვეულია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 2%-იანი ზრდის პროგნოზის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების გადაანგარიშებით;
- **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა იზრდება 20.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 295.0 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხების მობილიზება მოხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების კანონმდებლობით ნედართული (საკუთარი) შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მიმართვით, ვინაიდან საჯარო სამართლი იურიდიულმა პირებმაც დაიწყეს ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალური შემცირება და განხორციელდა სხვადასხვა სსიპ-ებში რესურსების გამოთავისუფლება;

  პროექტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს მცირე კორექტირებას სხვა შემოსავლების სახეებს შორის, პირველ ვარიანტთან შედარებით, რაც გამოწვეულია მიმდინარე შესრულების ტენდეციების გეგმაში ასახვით.
- **გრანტების** სახით დაგეგმილი შემოსავლები იზრდება 40.9 მლნ ლარამდე, მათ შორის:
  - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების მოცულობა იზრდება 41.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, ევროკავშირთან მიღწეულ იქნა შეთანხმება დამატებითი გრანტების ჩამორიცხვასთან დაკავშირებით, კერძოდ ორი ახალი პროექტის ფარგლებში (საქართველოში მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა (EU) და DCFTA-ს განხორციელების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (EU)) დაგეგმილია დამატებით რესურსის მიღება, ასევე

მისაღები გრანტების ოდენობაზე გავლენა მოახდინა ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ;

- საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტების მოცულობა მცირდება 80 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ზოგიერთ პროექტში წარმოქმნილი ეკონომიებით;

- **ვალდებულებების ზრდის** მაჩვენებელი იზრდება 14.8 მლნ ლარით, მათ შორის:
  - მცირდება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა 100.0 მლნ ლარით;
  - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტები იზრდება 185.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია დონორ ორგანიზაციებთან (ADB, WB) მიღწეული შეთანხმებით არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში დამატებითი ჩამორიცხვების შესახებ, კერძოდ მსოფლიო ბანკი დამატებით გამოყოფს 20,0 მლნ დოლარს, ხოლო აზიის განვითარების ბანკი - 25,0 მლნ დოლარს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან საბიუჯეტო დახმარების სახით თანხების მიღება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა რეფორმების განხორციელებასთან (მათ შორის რეფორმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საჯარო ფინანსების აღრიცხვიანობისა და გამჭვირვალობის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მართვის პროცესის გადმოტანა სახელმწიფო ხაზინის სისტემაში არსებული ანგარიშებისა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით). საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების ზრდა ასევე გამომდინარეობს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით;
  - დონორების მიერ კონკრეტული პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები მცირდება 70.9 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ამ პროექტების ფარგლებში თანხების ათვისების ტენდენციასთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ თანხების ჩამორიცხვა გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოების შესრულების პარალერულად და საჭიროების შემთხვევაში შესაძებელია მათი ზრდა;

- **არაფინანსური აქტივების კლებით** მისაღები შემოსულობები იზრდება 150.0 მლნ ლარით, რაც წარმოადგენს მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვით მისაღებ შემოსულობებს. ლიცენზიებთან დაკავშირებული აუქციონები დასრულდა მიმდინარე წლის იანვარში და ამ კუთხით უკვე სახელმწიფო ხაზინაში შემოსული თანხა დაახლოებით 75,0 მლნ ლარია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ლიცენზიებიდან 2015-2017 წლებში ჯამურად მიღებული თანხა იქნება 330,0 მლნ ლარზე მეტი;
- არ იცვლება **ფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი შემოსულობების მოცულობა.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ასიგნებებზე

ბიუჯეტის საფინანსო რესურსის ზრდის მიუხედავად, ბიუჯეტის გადასახდელები არ იცვლება და კვალავაც განისაზღვრება 9 575.0 მლნ ლარით. ამასთან, მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები მცირდება 159.0 მლნ ლარით, (მათ შორის, შრომის ანაზღაურება 27.0 მლნ ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების და სუბდიის მუხლები 30.0 მლნ ლარზე მეტით), მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2015 წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის

აღსადგენად და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან გამომდინარე საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის საჭიროა დამატებით რესურსების მობილებზე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები იზრდება 159.0 მლნ ლარით, მათ შორის:

- საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა იზრდება 53.0 მლნ ლარით;
- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი იზრდება 20.0 მლნ ლარით
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი იზრდება 85.0 მლნ ლარით

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების ფარგლებში მცირდება:

- ✓ **საქართველოს პარალმენტი - 6 მლნ ლარით,** რაც წარმოადგენს ვაკანსიებსა და რიგი შეზრუდვების ფონზე შრომის ანაზღაურების ფონდში გამოთავისუფლებულ რესურსსა და არსებული ვითარების გათვალისწინებით პარლამენტის შენობის სარემონტო/სარეაბილიტაციო ხარჯების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებულ რესურს;
- ✓ **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 9 მლნ ლარი,** რაც წარმოადგენს სამინისტროს შრომის ანაზღაურების ფონდში გამოთავისუფლებულ რესურსს, ასევე მიმდინარე პროექტებისა და შესყიდვების შეზღუდვის შედეგად გამოთავისუფლებულ რესურსს სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ასიგნებებიდან;
- ✓ **საქართველოს იუსიტიციის სამინისტრო - 3.6 მლნ ლარი,** რაც წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების შრომის ანაზრაურების ფონდში არსებული ვაკანსიებისა და წახალისების შეზღუდვის ფონზე გამოთავისუფლებულ რესურსს, ასევე სხვადასხვა ხარჯების შეზღუდვის შედეგად გამოთავისუფლებულ რესურს;
- ✓ **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინსიტრო - 10.5 მლნ ლარი,** აღნიშნული რესურსი გამთავისუფლდა საელჩოების შეძენისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, ვინაიდან არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და ვალუტის კურსის ცვლილების გამო მიზანშეწონილად არ ჩაითვალა მიმდინარე წელს საელჩოების შესყიდვისათვის ხარჯების გაწევა;
- ✓ **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო - 4.5 მლნ ლარი,** ძირითადად მცირდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიები;
- ✓ **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 6.1 მლნ ლარი,** ძირითადად მცირდება შრომის ანაზღაურების ფონდი, არსებული ვაკანსიებისა ხარჯზე, ამასთან მიმდინარე ხარჯების შემცირების ხარჯზე თანხების აკუმულირება ხდება კაპიტალური პროექტების დასფინანსებლად;
- ✓ **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 10.0 მლნ ლარი,** მცირდება სამინისტროს შრომის ანაზრაურების ფონდი არსებული ვაკანსიების გათვალისწინებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯამურად სამინისტროს ასიგნებები მცირდება 47.1 მლნ ლარით, თუმცა მათ შორის 36 მლნ ლარი გადადის **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** ასიგნებებში, იმ ფაქტის გათვალისწიენბით, რომ საქართველოს პარლამენტი უკვე იხალავს შესაბამის კანონპროექტს, რომლის თანახმადაც შინაგან საქმეთა სამინსიტროს გამოეყოფა აღნიშნული სამსახური.
- ✓ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერბის სამინისტრო - 13.1 მლნ ლარი,** ხარჯები მცირდება „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხი გაუმჯობესების“ პროგრამის ფარგლებში რაც გამოწვეულია რიგი ღონისძიებების

გადანაცვლებით 2016 წელს, მრავალწლიანი ხელშეკრულებების შესაბამისად; „განათლების ხარისხის განვითარებისა და მართვის“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ვერ ხორციელდება უცხოელი ექსპერტების ჩართვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში; ახალი სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის და შესაბამისი კონკურსის ჩატარების ვადის გათვალისწინებით ხარჯების ნაწილი ინაცვლებს 2016 წელს; შემცირდა სამინისტროს ადმინისტრაციული, შრომის ანაზღაურებისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის ხარჯები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ასიგნებების მოცულობა მცირდება 1,5% -ით და აღნიშნულის შედეგად არ იცვლება სამინისტროს მიზნები და პრიორიტეტები, არცერთი დაგეგმილი პროექტი არ შეჩერდება. შემცირება ხდება უკვე განხორციელებული პროექტების ეკონომიებისა და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ხარჯების გათვალისწინებით;

- ✓ **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო - 10.7 მლნ ლარით,** მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 5.1 მლნ ლარი, ხოლო დონორის დაფინანსებული პროექტები 5.7 მლნ ლარი. საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში შემცირება ხორციელდება თანადაფინანსების ხარჯებში, იმ პროექტებთან მიმართებაში, რომელთაც ახორციელებს **სახელმწიფო ელექტროსისტემა,** ხარჯების დაფარვა განხორციელდება კომპანიის სახსრებით. დონორების დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შემცირება გამომდინარეობს პროექტების ათვისების ტენდენციიდან.
- ✓ **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 25.5 მლნ ლარი,** მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 9.1 მლნ ლარი, ხოლო დონორების დაფინანსებული პროექტების ფარგლებში 16.4 მლნ ლარი;

ასიგნებების შემცირება ითვალისწინებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმდინარე ხარჯებში ეკონომიას, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი ტრეინინგების გათვალისწინებით ხდება რესურსების გამოთავისუფლება რიგი მიმართულებებით დაგეგმილი ტრეინინგებისათვის გათვალისწინებული ხარჯების ნაწილში, მცირდება სურსთათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის პროგრამის, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გათვალისწინებული და სამინისტროს მიერ განსახორციელებელი რიგი სხვა პროგრამების ადმინისტრაციული ხარჯები, ასევე ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მიმართულებით განხორციელებული შესყიდვების შედეგად ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია, ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებული ხარჯები, ასევე სოფლის მეურნეობის დარგებში (მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების და ბიოწარმოების და სხვა მიმართულებები) განსახორციელებელი რიგი პროექტების ნაწილობრივ გადანაცვლებით 2016 წლისათვის;

- ✓ **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** - 2.4 მლნ ლარი, მცირდება სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული ხარჯები, ადმინისტრაციული შენობებისა და ოფისების რემონტის ხარჯები, ზოგიერთი

პროექტის დაფინანსების ჩანაცვლებით დონორების წყაროებიდან დაცული ტერიტორიებისა და სატყეო სისტემების ჩამოყალიბების მიმართულებით, ტყის ინვეტარიზაციის მიმართულებით გამოცხადებული ტენდერების ჩაშლიდან გამომდინარე კი რიგი ღონისძიებების გადანაცვლება მოხდება 2016 წელს, ასევე მცირდება ტენდერების შედეგად წარმოქნილი ეკონომიები.

- ✓ **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო** - 54.5 მლნ ლარი, ძირითადად მცირდება დონორის დაფინანსებული პროექტები და შესაბამისი თანადაფინანსების თანხები. თანხების შემცირება დაკავშირებული პროექტების შესრულებიდან გამომდინარე სახსრების მოსალოდნელი ათვისების გათვალისწინებით, რაც ძირითადად უკავშირდება წინასატენდერო, სატენდერო და საპროექტო სამუშაოების დროს პროცედურების გაჭიანურებითა და სხვადასხვა ხარვეზების გამოვლენით;
- ✓ **სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებები მცირდება 3**.1 **მლნ ლარით,** რაც ძირითადად გამომდინარეობს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით.

რეორგანიზაცია და ახალი უწყებები

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი „დელტას“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება აღნიშნული სამინისტროების ასიგნებებში და მომუშავეთა რიცხოვნობაში;

- ✓ საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხობის სამსახური და სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი ყალიბდებიან ცალკე მხარჯავ დაწესებულებებად;

საშტატო რიცხვონობა

გარდა აღნიშნულისა, განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად 120 ერთეულით იზრდება ბიუჯეტით გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ:

- ✓ **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** იზრდება 44 ერთეულით, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი 24 ერთეულით, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები 20 ერთეულით, აღნიშნული განაპირობებულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგებლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შექმნით.
- ✓ **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** იზრდება 30 ერთეულით, რაც გამოწვეულია საქართველოს პროკურატურის საშტატო განრიგში ცვლილებით;
- ✓ **საერთო სასამართლოები** იზრდება 21 ერთეულით, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე;
- ✓ **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი** იზრდება12 ერთეულით, რაც გამოწვეულია კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით აპარატის ფუნქციების ზრდით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანამშრომელები ამ ეტაპზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებენ, როგორც შტატგარეშე მოსამსახურეები;

- ✓ **სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის** რიცხოვნობა განისაზღვრება 12 ერთეულით , რაც განაპირობა მის ცალკე მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალიბებამ;
- ✓ **სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური** იზრდება 3 ერთეულით, რაც გმაოწვეულია ევროკომისიის მოთხოვნების გათვალისწინებით, დისტანციური ზედამხედველობის განყოფილების შექმნის აუცილებლობით;
- ✓ **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** - ჯამურად მცირდება 1 ერთეულით, მათ შორის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რიცხოვნობის მცირდება 31 ერთეულით, ხოლო სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს რიცხოვნობა იზრდება 30 ერთეულით. შემცირება გამოწვეულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეორგანიზაციითა და ოპტიმიზაციით, ხოლო დაცული ტერიტორიების სააგენტოს საშტატო რიცხოვნობის ზრდა უკავშირდება ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების, მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის, ოკაცეს კანიონის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ადმინისტრაციებისათვის სათანადო ადმიანური რესურსით უზრუნველყოფით.
- ✓ **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** ჯამურად მცირდება 1 ერთულით, თუმცა მიმდინარე პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, სამინისტროს აპარატი იზრდება 142 ერთეულით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რიცხოვნობის შემცირების ხარჯზე.
- ✓ **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხობის სამსახურის** შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 3850 ერთეულით და ამავე ოდენობით განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხობის სამსახური;
- ✓ **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის** მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 81 ერთეულით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალებებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ცვლილებებით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის კლასიფიკაციით მცირდება, ხოლო 1986 წლის კლასიფიკაციის მიხედვით, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მისი მაჩვენებელი უცვლელი რჩება.

პროექტის გადამუშავებული ვერსია ითვალისწინებს მცირე მუხლობრივ კორექტირებებს პროექტის პირველ ვარიანტთან შედარებით.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის ძირიტადი პარამეტრები შეთანხმებული იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან (მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან);

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.